

# თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და სპს „ბაკურიძე დაკომპანია“-ს შორის

ქ. ბათუმი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდეგში „სსუ“), წარმოდგენილი რექტორის ასოვ. პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ სპს „ბაკურიძე დაკომპანია“ ს/კ 245424303 (შემდეგში „ბაკურიძე დაკომპანია“) წარმოდგენილი მისი დირექტორის შუია ბაკურიძის მიერ, (შემდეგში „მხარეები“) თანამდებნიან პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

## მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. სპს „ბაკურიძე დაკომპანია“ უზრუნველყოფს პროფესიული მოდულური პროგრამის „ფარმაცევტის თანამეცნიერი“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას და მოდულით გათვალისწინებული სხვა საკიტების შესწავლას. პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში.
2. მხარეები:
  - ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
  - ბ) დაგეგმვენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
  - გ) უზრუნველყოფენ მოდულური პროფესიული პროგრამის „ფარმაცევტის თანამეცნიერი“-ს ფარგლებში, გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით.

## მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეგვიზიტები

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი“

(ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. 35)

მერაბ ხალვაში

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

თარიღი: 07.03.2017



სპს „ბაკურიძე და კომპანია“

ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. 51

შუია ბაკურიძე

დირექტორი

თარიღი: 07.03.2017